საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

№3 პერიოდული გამოცემა
2014 წლის მარტი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

მარტი საპარლამენტო ანგარიშის დასრულებას მოვანდომეთ და მთელი აპარატის ძალისხმევის შედეგად საქართველოს პარლამენტს წარვუდგინეთ 633 გვერდიანი, საკმაოდ მოცულობითი ანგარიში, რომელიც მიმოიხილავს 2013 წელს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, თავს უყრის საანგარიშო პერიოდში გამოკვეთილ ძირითად ტენდენციებს და შემუშავებულ რეკომენდაციებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2013 წლის ანგარიშში პირველად შევიდა რამდენიმე თავი. კერძოდ, „პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება," „ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობა," „ამნისტია და მსჯავრდებულთა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება," საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა," „შრომის უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე,"„ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება," „ლტოვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში,"„რეპატრიანთა უფლებრივი მდგომარეობა." ამ სიახლეების უმთავრესი მიზანია მოვიცვათ ადამიანის უფლებათა შეძლებისდაგვარად ფართო სპექტრი და საზოგადოების, ხელისუფლების ყურადღება ეგრეთ წოდებული ტრადიციული ადამიანის ფუნდამენტური უფლებების გარდა, ასევე გავამახვილოთ ისეთ მიმართულებებზე, რაც ხშირ შემთხვევაში მივიწყებულიც კი არის. სწორედ ამიტომაც, მიმდინარე წლის განმავლობაში ჩვენი ოფისი შეეცდება გააქტიუროს მუშაობა მომხმარებელთა, სამხედრო მოსამსახურეთა და ვეტერანთა უფლებების დაცვის კუთხით.

ჩვენი წლიური საქმიანობის დიდი ნაწილი შესულია საპარლამენტო ანგარიშში. შეიძლება კიდევ ბევრი რამ დაგვრჩა სათქმელი, შესასწავლი, გამოსაკვლევი, მოსაძიებელი. ერთი კი უდავოა, ინსტიტუციის არსებობის 17 წლის მანძილზე, 2013 წელს რეკორდულად ბევრმა - 11 ათასზე მეტმა ადამიანმა მოგვმართა, ეს ნიშნავს, რომ 11 ათასზე მეტ ადამიანს აქვს ჩვენი იმედი, იცის რას საქმიანობს სახალხო დამცველი და როდის შეიძლება მას მიმართოს და საერთოდაც, 11 ათასზე ბევრად მეტმა იცის, რომ ამ ქვეყანაში იცავენ ადამიანის უფლებებს.

შინაარსი:

1. საქართველოს სახალხო დამცველის მისალმება 1
2. მთავარი მოვლენები 2
3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები 3
4. გასული თვის მოვლენები 5
5. სხვა სიახლეები 6
6. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურების პერიოდული საქმიანობა 8
7. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული ოფისების საქმიანობა 9
8. სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები 10
9. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 10
10. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 12
11. კონტაქტი 12

სახალხო დამცველის ოფისისთვის მარტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისითაც. **12-14 მარტს** ვმონაწილეობდი ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის 27-ე შეხვედრაში, სადაც განიხილებოდა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლი ადამიანის უფლებათა დაცვასა და ხელშეწყობაში. საქართველოს სახალხო დამცველს „პარიზის პრინციპებთან" სრული შესაბამისობის (A-სტატუსის) დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცა, რაც ჩვენთვის დამატებითი სტიმული და ვალდებულებაც არის, რათა მაქსიმალურად უზრუნველვყოთ ქვეყანაში ადამიანის უფლებების ეფექტური დაცვა და ვიყოთ აქტიურნი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მუშაობაში როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონულ დონეზე.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო და ხაზი გავუსვა ჩემს უკრაინელ კოლეგასთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის მნიშვნელობას უკრაინელი ხალხის ისტორიის ამ მეტად მძიმე პერიოდში. ჩვენ შევთანხმდით უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლაზე, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში თანამშრომლობაზე, ერთობლივი კონფერენციების, სამუშაო შეხვედრებისა და ტრენინგების ორგანიზებაზე, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების ჩატარებაზე.

მე აქ შევჩერდები და იმედს გამოვთქვამ, რომ ბიულეტენში ასახული მასალები თქვენთვის საინტერესო და ინფორმაციული იქნება.

2. მთავარი მოვლენები

2.1. სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში - 2013

31 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტს წლიური ანგარიში წარუდგინა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ.

ანგარიში მიმოიხილავს სამოქალაქო-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა ფართო სპექტრს. ასევე, ყურადღებას ამახვილებს საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა სფეროში გამოვლენილ დადებით და უარყოფით ტენდენციებზე, თავს უყრის სახალხო დამცველის მიერ ხელისუფლების სხვადასხვა შტოების მისამართით შემუშავებულ ძირითად რეკომენდაციებს, რომელთა შესრულების დროულობასა და ხარისხზე მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება ქვეყანაში.

2013 წელს 11 ათასზე მეტმა პირმა მიმართა სახალხო დამცველის ოფისს, რაც წინა წლებთან შედარებით გაორმაგებული მაჩვენებელია და მეტყველებს ოფისისადმი გაზრდილ მოლოდინებზე, დარღვეული უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ქვეყანაში თავისუფალი გარემოს არსებობაზე.

2.2. ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის 27-ე შეხვედრა

12-14 მარტს საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის 27-ე შეხვედრას დაესწრო. შეხვედრაში სხვადასხვა ქვეყნების ადამიანის უფლებათა დამცველი ეროვნული ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და გაეროს ადამიანის უფლებათა კომისრის ოფისის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

შეხვედრაზე განიხილეს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების როლი ადამიანის უფლებათა დაცვასა და ხელშეწყობაში; ეკონომიკური; სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა მწირი ფინანსური რესურსებით; ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებისა და საკანონმდებლო ორგანოების თანამშრომლობის შესახებ 2012 წლის ბელგრადის პრინციპები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმი და ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმების მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა ეფექტური რეალიზაციისთვის. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალთა უფლებების დაცვასა და ხელშეწყობას.

A-სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატის გადაცემა

13 მარტს საქართველოს სახალხო დამცველს „პარიზის პრინციპებთან" სრული შესაბამისობის (A-სტატუსის) დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცა. აღნიშნული სტატუსით საქართველოს სახალხო

დამცველი უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების მუშაობაში საერთაშორისო და რეგიონულ დონეზე ხმის მიცემის უფლებით, დაიკავოს პოზიცია საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის ბიუროში/ქვე-კომიტეტებში და მიიღოს მონაწილეობა ადამიანის უფლებათა საბჭოს სესიებში.

3. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები

3.1. რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

4 მარტს სახალხო დამცველმა შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარების განსაკუთრებული საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, ალტერნატიული ზრუნვის ისეთი სერვისებით უზრუნველყოფის რეკომენდაციით მიმართა, როგორიცაა ადრეული ინტერვენცია და აბილიტაცია/რეაბილიტაცია, სკოლამდელი ინკლუზიური განათლება, გართობისა და დასვენების ღონისძიებები, მცირე საოჯახო ტიპის სახლი, საჭიროების შემთხვევაში პალიატიური ზრუნვის სერვისი.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების მონიტორინგის შედეგად თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში არაერთი დარღვევა გამოვლინდა. კერძოდ, დაწესებულების პროფილი და არსებული მომსახურება არ აკმაყოფილებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განსაკუთრებულ საჭიროებებს: ბავშვები არ არიან ჩართული სკოლამდელ განათლებაში; ბენეფიციარებისთვის არ ხორციელდება აბილიტაცია/რეაბილიტაციის სერვისი, დაწესებულებას არ ჰყავს ადეკვატური სამედიცინო პერსონალი პალიატიური მზრუნველობის განსახორციელებლად; დაწესებულებაში არ ხდება ტკივილის მართვის მენეჯმენტი ქრონიკული ტკივილის მქონე ბავშვებისთვის; მომსახურე პერსონალი სათანადოდ ვერ ფლობს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის უნარ-ჩვევებს; დაწესებულებას არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განვითარებისთვის საჭირო გართობის საშუალებები; ფიზიკური გარემო (შენობა, აივნები, ეზო) არ არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საჭიროების მიხედვით, რაც ხელს უშლის მათ დამოუკიდებელ მობილობას.

3.2. რეკომენდაცია აჭარის მთავრობას

12 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, გაითვალისწინოს მოქალაქე ა.ზ-ს ჯანმრთელობა და სოციალური მდგომარეობა და უზრუნველყოს იგი სათანადო საცხოვრებლით.

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ სხეფშის მაცხოვრებლის განცხადება სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ა.ზ. მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობს. იგი ვერ ახერხებს დამოუკიდებლად გადაადგილებას. მის მდგომარეობას განსაკუთრებით ართულებს სოფელში სამედიცინო პუნქტის არ არსებობა. მოქალაქეს ესაჭიროება მუდმივი მკურნალობა ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

3.3. რეკომენდაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

26 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, რათა შეისწავლოს საკითხი და მიიღოს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა თ.მ-ს განცხადება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების კანონიერებასთან დაკავშირებით.

საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ თ.მ.-ს დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების ანუ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისას არსებითად დაირღვა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

შესაბამისად, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „თ.მ.-ს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ," ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ნორმებს და არღვევს განმცხადებლის უფლებებს.

3.4. რეკომენდაცია განათლებისა და მეცნიერების მინისტრს

31 მარტს სახალხო დამცველმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს რეკომენდაციით მიმართა, კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსების საკონკურსო-სააატესტაციო კომისიის საქმიანობა.

საქართველოს პრეზიდენტის „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებულების თანახმად, „საკონკურსო-საატესტაციო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.“ საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსების საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრა ხმის უფლების მქონე 13 წევრით. 2013 წლის 1 მაისს ჩატარებული საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმს კი ხელს აწერს მხოლოდ კომისიის 4 წევრი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, კომისია არ იყო უფლებაუნარიანი მიეღო გადაწყვეტილება.

საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საგანმანათლებლო რესურსცენტრების უფროსების საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ ჩატარებული გასაუბრება არ შეესაბამებოდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

წინადადებები მთავარ პროკურორს

3.5.

17 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა მთავარ პროკურორს წინადადებით მიმართა, დაიწყოს გამოძიება პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ბრალდებულ ბ.კ-ს მიმართ განხორციელებულ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის რწმუნებულებთან საუბარში ბრალდებულმა ბ.კ-მ განმარტა, რომ 2013 წლის 2 დეკემბერს დილის 6 საათზე ქუთაისიდან თბილისისაკენ მომავალ სამარშრუტო ტაქსს ქუთაისში გადაეღობა ორი ავტომობილი, საიდანაც გადმოსულმა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირებმა, ის და მისი მეგობარი, ყოველგვარი განმარტებების გარეშე დააკავეს, ცალ-ცალკე ჩასვეს ავტომანქანებში და შსს-ს ქუთაისის საქალაქო სამმართველოში გადაიყვანეს.

ბ.კ-ს თქმით, სამმართველოს შენობაში თითქმის 24 საათის განმავლობაში მასზე ხორციელდებოდა როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ზეწოლა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან და აიძულებდნენ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი ლომბარდის გაქურდვის ფაქტი ეღიარებინა.

3.6.

18 მარტს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურორს, რათა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესი წარიმართოს ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთი სტანდარტის — სისწრაფის დაცვით.

სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე გ.ე.-მ, რომელიც მიუთითებდა, რომ 2008 წლის 21 ივლისიდან დღემდე თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, სამკვიდრო მოწმობის გაყალბების ფაქტზე. თითქმის ექვსი წლის განმავლობაში გაჭიანურებული გამოძიების გამო, გ.ე.-ს შეზღუდული აქვს სამკვიდრო ქონების სარგებლობის/განკარგვის უფლება.

3.7.

21 მარტს სახალხო დამცველმა მთავარ პროკურორს მოქალაქე შ.კ.-ს მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა.

ადვოკატის ინფორმაციით, 2013 წლის 27 ოქტომბერს შ.კ და ა.ჯ ვარდების მოედანზე დააკავეს, რის შემდეგაც ბრალდებულები ძველი თბილისის პოლიციის რაიონულ სამმართველოში გადაიყვანეს, სადაც ადვოკატის მტკიცებით, დაკავებულებზე განხორციელდა ფიზიკური ძალადობა.

დაკავების დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ შ.კ. სამართალდამცავების მიერ დაკავებული იყო 22 საათზე მეტი, ხოლო სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის მიერ დასკვნის თანახმად, შ.კ.-ს სხეულზე აღმოჩენილი სისხლნაჟღენთები არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებაში მითითებულ თარიღს.

3.8. წინადადება საქართველოს მთავრობას

25 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავრობას, გაითვალისწინოს ახალციხის რაიონის სოფელ ტატანისში შექმნილი მძიმე ვითარება და მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში უზრუნველყოს მოსახლეობისთვის ადეკვატური დახმარების გაწევა.

სოფლამდე მისასვლელი გზის 10 კილომეტრიანი მონაკვეთი დაზიანებულია, რაც ზამთრისა და უამინდობის პირობებში მას გაუვალს ხდის. განსაკუთრებით საგანგაშოა სოფლის დაწყებით სკოლაში არსებული პირობები. სკოლის შენობა ამორტიზებულია, სასწავლო ინვენტარი და ინფრასტრუქტურა კი დაზიანებული, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისთვის. სასკოლო ასაკის მოსწავლეებს სრული ზოგადი განათლების მიღება მხოლოდ 4 კილომეტრით დაშორებულ მეზობელ სოფელში შეუძლიათ.

სოფელი არ არის უზრუნველყოფილი სასმელი წყლით და მოსახლეობა წვიმისა და სასმელად უვარგისი მღვრიე წყლით სარგებლობს.

4. გასული თვის მოვლენები

4.1. სახალხო დამცველის განცხადება დედის დღესთან დაკავშირებით

3 მარტს სახალხო დამცველმა, სრულიად საქართველოს დედის დღეს მიულოცა. მილოცვაში ყურადღება გაამახვილა მარტოხელა დედებზე, რომელთაც მარტომ იკისრეს შვილის აღზრდა-განვითარებისათვის ზრუნვა - სამართლებრივი სტატუსის, სახელმწიფო დახმარებისა და საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე. ისინი საზოგადოებაში გაბატონებული სტერეოტიპული შეხედულებების გამო, ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლი ოჯახსა და საზოგადოებაში.

4.2. №14 დაწესებულებაში მსჯავრდებულის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით

7 მარტს სახალხო დამცველმა განცხადება გაავრცელა №14 (გეგუთის) დაწესებულებაში მსჯავრდებულ გ.ფ.-ს გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით დროული და ეფექტიანი გამოძიების ჩატარების აუცილებლობის შესახებ. ამასთან, ომბუდსმენი მოუწოდებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, გაატაროს ყველა შესაძლო პრევენციული ღონისძიება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა პირადი უსაფრთხოების დასაცავად და ტრაგიკული შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

* 4 მარტს, ღამის 02:30 საათზე, გეგუთის №14 დაწესებულებაში, ექვს ადგილიან საკანში, სადაც ხუთი მსჯავრდებული იმყოფებოდა, პატიმრებს შორის დაპირისპირება მოხდა, რაც მსჯავრდებულ გ.ფ.-ს გარდაცვალებით დასრულდა.

4.3. თანამშრომლობის მემორანდუმი

14 მარტს უკრაინის ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომისარმა და საქართველოს სახალხო დამცველმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

მემორანდუმის ფარგლებში მხარეები შეთანხმდნენ უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლაზე, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში თანამშრომლობაზე, ერთობლივი კონფერენციების, სამუშაო შეხვედრებისა და ტრენინგების ორგანიზებაზე, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების ჩატარებაზე.

4.4. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ანგარიში

18 მარტს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარუდგინა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის 2013 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

შეხვედრა გახსნეს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ქეთი ციხელაშვილმა და სახალხო დამცველის მოადგილემ პაატა ბელთაძემ.

ანგარიში წარმოადგინა სახელმწიფო მინისტრის აპარატის სამოქალაქო ინტეგრაციის სამმართველოს უფროსმა თინა ღოღელიანმა, რომელმაც 2013 წელს სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით მიღწეულ შედეგებსა და არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა.

4.5. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

21 მარტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ოფიციალურად გამოაცხადა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღედ.

სამწუხაროდ, დაუნის სინდრომის მიმართ საქართველოში დღემდე არსებული ძლიერი სტიგმა, საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონე და დაუნის სინდრომთან დაკავშირებული სამედიცინო პროტოკოლებისა და სახელმძღვანელო პრინციპების არარსებობა ხშირად განაპირობებს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების არასათანადო სამედიცინო მეთვალყურეობას, მაღალია მათი მიტოვების რისკიც.

მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ გააცნობიეროს არსებული სტერეოტიპებისა და სტიგმის დაძლევის აუცილებლობა, რომელიც იწვევს თავად დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა და მათი ოჯახის წევრების იზოლაციას.

4.6. განცხადება ადრეულ ასაკში ქორწინებებთან დაკავშირებით

24 მარტი. საქართველოში კვლავ დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს გოგონათა ადრეულ ასაკში ქორწინება, რასაც ხშირ შემთხვევაში იძულებითი ქორწინების ფორმა აქვს და მოტაცების ან მშობელთა შორის გარიგების შედეგია. საქართველოს სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში წარმოდგენილი იყო მთელი რიგი რეკომენდაციები ადრეული ქორწინების პრევენციის საკითხებზე, თუმცა ქმედითი ნაბიჯები ამ დრომდე არ გადადგმულა.

პრობლემის არსებობა მთელი სიცხადით დაგვანახა ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა. თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში გოგონას თვითმკვლელობა სწორედ არასასურველი ნაადრევი ქორწინების თავიდან ასაცილებლად მოხდა.

სახალხო დამცველის აპარატის ხელთ არსებული ბოლო მონაცემების თანახმად, კომპეტენტური უწყებების ჩართულობა ადრეული ქორწინების ფაქტებზე და მათი მხრიდან ეფექტური რეაგირების მაჩვენებელი იმდენად დაბალია, რომ ხშირ შემთხვევაში გოგონებმა არც კი იციან ვის მიმართონ, როდესაც მათზე ხორციელდება ზეწოლა.

4.7. სახალხო დამცველმა გეგუთის №14 დაწესებულებაში მსჯავრდებულის გარდაცვალების ფაქტის შესწავლა დაიწყო

24 მარტს სახალხო დამცველის აპარატმა სასჯელაღსრულების №14 (გეგუთის) დაწესებულებაში მსჯავრდებულის, ა.მ.-ს გარდაცვალების ფაქტის შესწავლა დაიწყო. სახალხო დამცველის რწმუნებულები პირადად შეხვდნენ და გაესაუბრნენ გარდაცვლილის თანასაკნელებსა და ციხის ადმინისტრაციას. მსჯავრდებულების ინფორმაციით, ა.მ. გარდაცვლილი 24 მარტს, დილით ადრე, მისმა თანასაკნელმა იპოვა, რის შემდეგაც მან მორიგე ინსპექტორს დაუძახა. გვამის აღმოჩენისას პატიმარი სავარაუდოდ უკვე რამდენიმე საათის გარდაცვლილი იყო. პატიმრების ინფორმაციით, გარდაცვლილს არც ციხის ადმინისტრაციასთან და არც სხვა მსჯავრდებულებთან კონფლიქტი არ ჰქონია. ა.მ-ს გარდაცვალებასთან დაკავშირებით, დაწყებულია გამოძიება, ჩატარდა სამედიცინო ექსპერტიზაც, რომლის შედეგებიც მოგვიანებით გახდება ცნობილი.

სახალხო დამცველი ყურადღებით დააკვირდება გამოძიების მიმდინარეობის პროცესს, დასრულებისთანავე გაეცნობა სასამართლო ექსპერტიზის დასკვნას და შედეგების შესაბამისად მოახდენს სათანადო რეაგირებას.

4.8. შალვა თათუხაშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით

28 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა განაცხადა, რომ საკუთარი ინიციატივით სწავლობს შალვა თათუხაშვილის გარდაცვალების ფაქტს. გამოთხოვილია საკითხის შესწავლისათვის საჭირო მასალები და განხილვის შედეგების შესახებ საზოგადოება იქნება ინფორმირებული.

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს საგამოძიებო ორგანოებს, გამოძიება სწრაფად და ეფექტურად წარიმართოს. სახალხო დამცველის ასევე აღნიშნავს, რომ თათუხაშვილის საქმის შესწავლის მოთხოვნით, მისთვის გარდაცვლილის ადვოკატს არ მიუმართავს.

4.9. ნუგზარ წიკლაურის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით

31 მარტს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის წევრის ნუგზარ წიკლაურის ცემასთან დაკავშირებით.

საქართველოს სახალხო დამცველი აუცილებლად მიიჩნევს ნუგზარ წიკლაურის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე მყისიერ რეაგირებას და მოუწოდებს საქართველოს მთავარ პროკურატურას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, უზრუნველყონ შესაძლო დამნაშავე პირთა დროული იდენტიფიცირება, მათი გამოვლენა, საგამოძიებო მოქმედებათა დროული და ჯეროვანი განხორციელება და სხვა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების დაუყოვნებელი ჩატარება. ამავდროულად, აუცილებელია ამ შემთხვევაზე პასუხისმგებელ ყველა პირის გამოვლენა და პასუხისმგებაში მიცემა, მსგავსი ტიპის ქმედებების პრევენციის მიზნით.

5. სხვა სიახლეები

5.1. პრესკონფერენცია და საინფორმაციო ბიულეტენი

6 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა მოკლედ მიმოიხილა თებერვლის თვის განსაკუთრებული მოვლენები, ისაუბრა ხუდონჰესის თემაზე და 28 თებერვალს გამართულ პირველ დებატზე; ასევე, სხვადასხვა ობიექტებზე დასაქმებულთა უფლებრივი მდგომარეობის გამოსწორებისათვის სახელმწიფო ჩართულობისა და შრომის კოდექსის დახვეწის აუცილებლობაზე; გეგუთის №14 დაწესებულებაში განვითარებულ პრობლემებზე. სახალხო დამცველმა დადებითად აღნიშნა ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის აქტიური განხილვის პროცესი, თუმცა, უკმაყოფილება გამოთქვა მთავრობის მიმართ, განხილვის დაჩქარებული ტემპის გამო.

5.2. ქალთა საერთაშორისო დღე – 8 მარტი

ქალთა საერთაშორისო დღის აღნიშვნა ქალთა შრომითი უფლებების დაცვის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობისა და ძალადობის აღმოფხვრისაკენ ბრძოლის საკითხებს უკავშირდება.

თუ გადავავლებთ თვალს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების საუკუნოვან გზას, კვლავ აქტუალურია მთელი რიგი პრობლემური საკითხები. პრობლემას წარმოადგენს ქალთა დაწინაურების, ეკონომიკურ განვითარებაში თანაბარი მონაწილეობისა და სათანადო ანაზღაურების საკითხი. სიღარიბის ფემინიზაციამ და ქალთა მიმართ ძალადობის მაღალმა მაჩვენებელმა განაპირობა ქალების დაბალი ეკონომიკური აქტივობა.

5.3. გამოკითხულთა აზრით, ადამიანის უფლებების დაცვაზე ყველაზე მეტად ომბუდსმენის აპარატი ზრუნავს

10 მარტს გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა.

კითხვაზე „თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რომელი უწყება/ინსტიტუტი ზრუნავს დღეს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვაზე?“ - გამოკითხვაში სახალხო დამცველის აპარატთან ერთად ჩართული იყო ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მედია, საპატრულო პოლიცია, არასამთავრობო ორგანიზაციები, პარლამენტი, სასამართლო, პროკურატურა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

<u>გამოკითხულთა უმრავლესობამ საუკეთესო ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციად ომბუდსმენის აპარატი დაასახელა.</u>

სახალხო დამცველის აპარატი დადებითად აფასებს კვლევის შედეგებს და განაგრძობს ადამიანის უფლებების საკითხებზე ინტენსიურ მუშაობას.

5.4. შეხვედრა „სინერგიას“ წარმომადგენლებთან

20 მარტს სახალხო დამცველი დევნილთა ქსელ „სინერგიას“ წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრისას განხილული იყო ქსელთან თანამშრომლობის და ინფორმაციის გაცვლის მექანიზმები. ქსელი რეგიონსა და თბილისში მოქმედ დევნილთა 18 ორგანიზაციას აერთიანებს და მათი უფლებების დაცვის ადვოკატირებაზე მუშაობს. შეხვედრისას გადაწყდა, რომ სახალხო დამცველის აპარატი უფრო აქტიურად ჩაერთვება მათ საქმიანობაში და მოხდება უფრო ეფექტური თანამშრომლობა. ამ მიზნისათვის, აპრილის ბოლოს დაიგეგმა სახალხო დამცველის გაფართოებული თემატური შეხვედრა ქსელის წევრ ორგანიზაციებთან.

5.5. იეზიდური ახალი წელი

20 მარტი იეზიდთა ტრადიციით „კლოჩა სარე სალეს“ - ახალი წლის დღესასწაულია. სახალხო დამცველმა სპეციალური განცხადებით მიულოცა თანამოქალაქე იეზიდებს ეს ღამაზი და სითბოთი აღსავსე დღესასწაულს და სიკეთესა და მშვიდობა უსურვა მათ.

* „კლოჩა სარე სალე,“ შუამდინარეთის უძველეს საახალწლო ტრადიციას წარმოადგენს და გაზაფხულის დადგომას და ბუნების აღორძინებას უკავშირდება.

5.6. სახალხო დამცველის მილოცვა

21 მარტს სახალხო დამცველმა ნოვრუზ ბაირამის დღესასწაული აზერბაიჯანელ თანამოქალაქეებს პირადად მიულოცა. სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა დღესასწაულის მნიშვნელობას და იმ ტრადიციებს, რომლითაც ეს დღე აღინიშნება. „დღეს საქართველოში ის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული დღესასწაულია. ნოვრუზ ბაირამის აღნიშვნა ტრადიციად იქცა და ეს დღე საერთო სახალხო დღესასწაულადაა გამოცხადებული.

* 2009 წლის 28 სექტემბრის იუნესკოს სამიტზე ნოვრუზი ოფიციალურად იქნა შეტანილი კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში. 2010 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ საერთაშორისო დღედ აღიარა.

5.7. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა

24 მარტს სახალხო დამცველმა „სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის“ კვლევის პრეზენტაცია გამართა, რომელსაც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე გიგა გიორგაძე, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2013 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში გახშირდა იმ მსჯავრდებულთა მიმართვიანობა, რომლებიც ასაჩივრებდნენ მათი სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ საქართველოს სასჯელაღსრულების სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

სახალხო დამცველმა შესაბამისი რეკომენდაციები გასცა სასჯელაღსრულების სამინისტროს ადგილობრივ საბჭოებსა და სამინისტროს მუდმივმოქმედ კომისიის მიმართ - მიღებული გადაწყვეტილებები იყოს ზედმიწევნით დასაბუთებული, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე დაყრდნობით. სახალხო დამცველი სამინისტროს ადგილობრივ საბჭოებს მიმართავს, რომ მაქსიმალურად ხშირად იყოს უზრუნველყოფილი პატიმრის პირადი ჩართულობა საკითხის განხილვის პროცესში.

5.8. საქართველოს სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებებზე რიგით მეორე საჯარო დებატი გამართა

დებატები რეალური კონსტიტუციური კონტროლის შესახებ

28 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში რიგით მეორე საჯარო დებატები გამართა თემაზე „რეალური კონსტიტუციური კონტროლი — საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების ხარვეზების გამოსწორების შესაძლებლობა."

სახალხო დამცველის მიმართ მოქალაქეთა მომართვიანობიდან გამომდინარე, ცხადია, რომ 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებიდან დღემდე აქტუალურობა არ დაუკარგავს საზოგადოების მოთხოვნას, გადაისინჯოს ის სასამართლო გადაწყვეტილებები, სადაც არსებობს ეჭვი, რომ მართლმსაჯულება ხარვეზებით განხორციელდა.

დებატებზე მომხსენებლებად იყვნენ მოწვეულები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ქეთევან ერემაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ჯონი ხეცურიანი, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე კახა კოჟორიძე და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი ეკა ლომთათიძე.

დებატებს მოდერატორობას უწევდა სახალხო დამცველის მოადგილე პაატა ბელთაძე. შეხვედრა მხარდაჭერილი იყო ევროკავშირის პროექტის მიერ „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა."

6. სახალხო დამცველის აპარატის ცალკეული სამსახურების პერიოდული საქმიანობა

6.1. ქალთა საერთაშორისო დღე

3-9 მარტს ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა რეგიონალური შეხვედრები „უფლებებია - ჩემი ყვავილები." შეხვედრები სიმბოლურად საქართველოს 8 რეგიონში ჩატარდა და მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

6.2. დიალოგი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში

5 მარტს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჯგუფის წევრები საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილეს შეხვდნენ. შეხვედრაზე საუბარი შეეხო სასჯელაღსრულების ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციულ ასპექტებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში პატიმართა გადაყვანისა და სამედიცინო მომსახურების მიწოდების საკითხს.

17 მარტს კვლავ გაიმართა შეხვედრა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში. შეხვედრაზე სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული პრობლემატური საკითხები და გამოწვევები განიხილეს.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატსა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შორის საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები მომავალშიც გაიმართება, რაც მიზნად ისახავს კომუნიკაციის ეფექტიანობის გაზრდას და წარმოადგენს პრობლემატური საკითხების გადაჭრის პრაქტიკული გზების ერთობლივად ძიების მცდელობას.

6.3. დევნილი შშმ ქალებისა და შშმ ქალი მშობლების უფლებებთან დაკავშირებით კვლევის პრეზენტაცია

5 მარტს დევნილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალი მშობლების უფლებების კვლევის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც სახალხო დამცველის ოფისისა და გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში" მხარდაჭერით ჩატარდა.

პრეზენტაცია „ქორთიარდ მერიოტში"

კვლევაში ასახულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადეკვატური პირობების საკითხი, დევნილთა მიმართ განხორციელებული სახელმწიფო სტრატეგიები, გრძელვადიანი განსახლების პირობებში მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ჯანდაცვა, განათლებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობა, მშობლის უფლების რეალიზების პრობლემები.

6.4. შშმ პირთა უფლებების დაცვის ცენტრის ვიზიტები რეგიონებში

12-13 მარტს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა ნათია ფირაშვილმა და ცენტრის იურისტმა ირინა ობოლაძემ ჩხოროწყუსა და მარტვილში შეხვედრები გამართეს. შეხვედრების მიზანი იყო შშმ ქალთა და შშმ ბავშვების უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა, ხარვეზების გამოვლენა და მათი უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა.

შეხვედრებს ესწრებოდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ამ პირთა კანონიერი წარმომადგენლები, ასევე სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილებების წარმომადგენლები. გაიმართა აქტიური დისკუსიები შშმ პირების უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

12 მარტს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ასევე მოინახულეს ჩხოროწყუს შშმ პირთა დღის ცენტრი „ინვალიდთა ასოციაცია იმედი 3."

6.5. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით მუშაობა გააქტიურდა

12 და 25 მარტს, სახალხო დამცველის წარმომადგენლები მედეა ტურაშვილი, თორნიკე ცაგარეიშვილი, ნინო დალაქიშვილი და შორენა ყაყიტაშვილი გორსა და ადმინისტრაციული საზღვარის გასწვრივ მდებარე სოფლებს ესტუმრნენ, სადაც მოსახლეობას და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრისას გამოიკვეთა არაერთი სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემა. სახალხო დამცველის ოფისი აგრძელებს რეგიონში მიმდინარე ადამიანის უფლებების მონიტორინგს.

7. სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული ოფისების საქმიანობა

7.1. სოფელი აწყური

დამეწყრილი ნასახლარი სოფელ აწყურში

სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს ახალციხის რაიონის სოფელ აწყურში არსებულ ვითარებას. სოფელში 2012 წლის ოქტომბერს მომხდარი მეწყერის შედეგად, რვა ოჯახი უსახლკაროდაა დარჩენილი. უსახლკაროდ დარჩენილები ნაქირავებ სახლებში ცხოვრობენ, ბინის ქირას კი მუნიციპალიტეტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან უხდის.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის დასაწყისში ადგილობრივმა თვითმმართველობამ ვერ უზრუნველყო დაზარალებული მოსახლეობისათვის 3 თვის ქირის გადახდა. მოსახლეობა შიშობს, რომ იგივე განმეორდება წელსაც, ვინაიდან, მათ იანვრის და თებერვლის ქირის თანხა ჯერ კიდევ არ მიუღიათ. ადგილობრივები დღემდე ელოდებიან სათანადო საცხოვრებლით უზრუნველყოფას, რის თაობაზეც არაერთხელ მიმართეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, ასევე განსახლების სამინისტროს თუმცა კონკრეტული გადაწყვეტილება დღემდე მიღებული არ არის.

სახალხო დამცველი ამ ეტაპზე გეოლოგიური და აუდიტორული დასკვნების შესწავლის პროცესშია, რომლის შემდგომაც შესაბამისი წინადადებას წარუდგენს კომპეტენტურ უწყებებს.

7.2. ფარავან ჰესი

1 მარტს, ახალციხის რაიონში ვიზიტისას, რეგიონული სამმართველოს უფროსი მიხეილ მინდაძე „ფარავან ჰესის" მშენებლობაზე დასაქმებულ ადამიანებს შეხვდა. სახალხო დამცველის აპარატი მათ კოლექტიურ განცხადებას სწავლობს, სადაც ისინი მიუთითებენ არასათანადო ანაზღაურებაზე, შრომის მძიმე პირობებზე, შრომის კოდექსით დადგენილ უქმე და დასვენების დღეების არარსებობაზე, მუშაობისას დამსაქმებლების მიერ კომუნიკაციისა და გადაადგილების შეზღუდვაზე და სხვა. შრომის პირობებთან დაკავშირებით, რეგიონში არსებულ მდგომარეობაზე უახლოეს პერიოდში იგეგმება სპეციალური ანგარიშის მომზადება.

7.3. ხულოს რაიონის სოფელ ღურტაში განვითარებული მოვლენების შესახებ

8 მარტს ხულოს რაიონის სოფელ ღურტაში 5 სოფლის დიდაჭარის, გელაძეების, დიაკონიძეების, ღურტასა და პაქსაძეების მოსახლეობამ „აჭარისწყალი ჯორჯიას" მიერ ჰესის მშენებლობისთვის გვირაბის გაყვანის გადაწყვეტილება გააპროტესტა. ადგილზე ჩავიდა და მოსახლეობას შეხვდა სახალხო დამცველის წარმომადგენელი აჭარაში გიორგი ჩარკვიანი. მოსახლეობის განცხადებით, გვირაბი რომელიც სოფელ ღურტას ტერიტორიაზე გაივლის, ინფრასტრუქტურას დააზიანებს და მეწყრული პროცესების გააქტიურებას შეუწყობს ხელს.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული მოქალაქის, განსაკუთრებით კი ჰესის მშენებლობის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების უფლებები. ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის აუცილებელია დიალოგის გაგრძელება და ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ გაითვალისწინოს ადგილობრივი მოსახლეობის აზრი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოქალაქეების უსაფრთხო, მშვიდობიან და ღირსეულ პირობებში ცხოვრების უფლება.

8. დაგეგმილი ღონისძიებები

8.1. ტრენინგი ფსიქიკური ჯანმრთელობის მონიტორინგის თაობაზე.

6-11 აპრილს, ბათუმში, სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრისა და რეგიონების წარმომადგენლებისათვის ჩატარდება ტრენინგი „ფსიქიკური ჯანმრთელობის მონიტორინგის“ თაობაზე.

ტრენინგი ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის ერთობლივი პროგრამის „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ ფინანსური მხარდაჭერით გაიმართება.

8.2. სახალხო დამცველი დასავლეთ საქართველოში მოქალაქეებთან შეხვედრებს გამართავს

6-12 აპრილი. სახალხო დამცველი რეგიონებში, მოქალაქეებთან იწყებს შეხვედრას. მოქალაქეებს საშუალება ექნებათ მათი უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაცია პირადად უჩა ნანუაშვილს მიაწოდონ.

4 აპრილიდან სახალხო დამცველის რეგიონულ ოფისებში მოქალაქეთა წინასწარი რეგისტრაცია დაიწყება, ამ პერიოდის განმავლობაში საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ბათუმის ზუგდიდისა და ქუთაისის ოფისები განსაკუთრებული მუშაობის რეჟიმზე გადავლენ.

სახალხო დამცველი რეგიონებში არასამთავრობო სექტორსაც შეხვდება და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ 2013 წლის ანგარიშს წარუდგენს. ომბუდსმენს ასევე დაგეგმილი აქვს შეხვედრები ადგილობრივ ხელისუფლებასთან და თვითმართველობებთან.

7 აპრილს სახალხო დამცველი ბათუმში, ე.წ „მუყაოს ქალაქის“ მაცხოვრებლებს - სოციალურად დაუცველ და სტიქიის შედეგად ადგილმონაცვლე პირებს (ეკომიგრანტებს) შეხვდება.

8.3. შშმ პირთა უფლებების დაცვის ცენტრის ვიზიტები რეგიონებში

დაგეგმილია გასვლითი ვიზიტები იმერეთის რეგიონში. ღონისძიების მიზანია შშმ ქალთა და შშმ ბავშვების უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა და ხარვეზების გამოვლენა, აღნიშნულ პირთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა.

8.4. დებატები შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით

25 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველი ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში რიგით მესამე დებატებს გამართავს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

9. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

9.1. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2013 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოში 2013 წელს ადამიანის უფლებათა სფეროში მიმდინარე ძირითადი მოვლენების შესახებ. ანგარიშში პრობლემები გამოყოფილია სამი მიმართულებით:

- სახელმწიფო მოხელეების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან გათავისუფლების შემთხვევები ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან მათი სავარაუდო კავშირის გამო და ხელისუფლების არასათანადო რეაგირება;
- გაზრდილი სოციალური ძალადობა ლგბტ საზოგადოებაზე და ხელისუფლების არაეფექტურობა დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემის პროცესში;
- ადგილობრივი ხელისუფლების ჩარევა რელიგიურ უმცირესობათა შეკრებისა და ღვთისმსახურების თავისუფლებაში და ცენტრალური ხელისუფლების არასაკმარისი რეაგირება.

გარდა აღნიშნული პრობლემატური საკითხებისა, ანგარიშში დეტალურადაა განხილული 2013 წლის განმავლობაში ადამიანის უფლებათა სფეროში დაფიქსირებული დარღვევები, ხოლო მათ კვალდაკვალ გასულ წლებთან შედარებით გამოვლენილი წინსვლა. მაგალითად, პოლიციის ძალადობა დაკავებულთა მიმართ და ციხის გამოსწორებული, თუმცა მაინც მძიმე პირობები. სასამართლო ხელისუფლებაზე გარე და შიდა გავლენა განხილულია, როგორც არსებული პრობლემა, თუმცა ხაზგასმულია, რომ გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები ამ მხრივ გადაიდგა. გარდა ამისა, მოხსენიებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა მძიმე საცხოვრებელი პირობები. ანგარიშში მითითებულია, რომ მთავრობის მიერ ანგარიშვალდებულების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები; ამ მიმართებით განხილულია ყოფილი მთავრობისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების, მათ შორის, ყოფილი შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და პრემიერ მინისტრის დაკავება სხვადასხვა სისხლისსამართლებრივი დანაშაულებების გამო.

ანგარიშში განხილულია სიცოცხლის უკანონო მოსპობის შემთხვევები, მათ შორის, გეგუთის საპატიმროში პატიმარ ლევან კორტავას სიკვდილის ფაქტი. პოზიტიურად არის შეფასებული სიტუაცია პენიტენციალურ დაწესებულებებში და ხაზგასმულია მდგომარეობის გამოსწორება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კუთხით. პოზიტიურადაა შეფასებული 2012 წელს ციხეში წამების კადრების გავრცელების შემდგომ, ომბუდსმენის მიერ პენიტენციალურ დაწესებულებების მონიტორინგში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა.

სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებებზე დაყრდნობით სახელმწიფო დეპარტამენტი მიუთითებს, რომ პოლიციის მხრიდან ძალადობის ფაქტები იყო უფრო მეტი, ვიდრე პროკურატურის მიერ გამოძიებული საქმეები; ანგარიშის მიხედვით, ამ მხრივ სისტემატური გამოძიება და დამნაშავეების დასჯა იყო არაეფექტური. ანგარიშის მიხედვით, ასევე პრობლემატურია ორდერის გარეშე, იმწუთიერი აუცილებლობის საფუძველზე, დაკავების შემთხვევები. ანგარიშში განხილულია ასევე ყოფილი პრემიერ-მინისტრის დაკავების ადგილიდან სავარაუდო გაყვანისა და მის მიმართ მუქარის ფაქტი, თუმცა აღნიშნულია, რომ 2013 წლის ბოლოსთვის მიმდინარეობდა გამოძიება.

სახალხო დამცველის და საიას ანგარიშებზე დაყრდნობით განხილულია სასამართლოს მიერ არასათანადო დასაბუთებით მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც განგრძობადი პრობლემა. რიგი მოსამართლეების მიერ ახალი მოსამართლეთა ასოციაციის შექმნა განხილულია როგორც მნიშვნელოვანი განვითარება. ანგარიშში ყურადღება აქვს დათმობილი აქვს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს, რომელიც საქმეთა 90%—ის შემთხვევაში იქნა გამოყენებული, და აღნიშნულია, რომ მიუხედავად მისი დადებითი მხარეებისა, ექსპერტები მნიშვნელოვან შეშფოთებას გამოხატავენ სისტემის სამართლიანობის შესახებ.

ანგარიშში განხილულია პატიმართა შიმშილობის აქცია, რომლებიც მოითხოვდნენ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნას.

სახელმწიფო დეპარტამენტი შეეხო სააკაშვილის ადმინისტრაციის მიერ სასამართლო ნებართვის გარეშე 26 000 ვიდეო და აუდიო ჩანაწერის შენახვის ფაქტს, რომლებიც ასახავდნენ საუბრებს პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსა და მოქალაქეებს შორის, ზოგი ჩანაწერი კი შეიცავდა პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს, რომელთაც სავარაუდო შანტაჟის მიზნით ინახავდნენ. პირადი ცხოვრების თავისუფლების განხილვისას ანგარიშში მოყვანილია ასევე სავარაუდო მოსმენის შემთხვევები, რომლის გამოძიება დაწყებული იყო, თუმცა 2013 წლის ბოლოსთვის შედეგები არ ყოფილა გამოქვეყნებული. სიტყვისა და პრესის თავისუფლებასთან მიმართებაში ანგარიშში განხილულია რეგიონული მედიის მიმართ დარღვევების, ძირითადად დაშინების, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევები. პრესის თავისუფლების მხრივ მოყვანილია თომას ჰამარბერგის შეფასება, რომლის მიხედვითაც, პრესა წლის განმავლობაში იყო შედარებით თავისუფალი და პლურალისტული. ინტერნეტ თავისუფლების სტატუსი შეფასებულია როგორც თავისუფალი.

შეკრების თავისუფლებასთან მიმართებით განხილულია ძირითადად 17 მაისის, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის მიმართ მიძღვნილი აქციის მოვლენები და პოლიციის არაეფექტური ქმედება.

არჩევნების თავისუფლების შეფასება ძირითადად პოზიტიურია, მიუხედავად გარკვეული დარღვევებისა. ანგარიშის მიხედვით, ქალთა და უმცირესობების ჩართულობა და პარლამენტში წარმომადგენლობა კვლავ პრობლემად რჩება. ანგარიშში ოჯახური და სხვა ძალადობა ქალთა მიმართ განგრძობად პრობლემადაა განხილული.

ბავშვთა უფლებების ჭრილში განხილულია ადრე ქორწინება და ძალადობა ძირითადად ქუჩის ბავშვებზე. პრობლემურია ასევე ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია.

ანგარიშში ხაზგასმულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პრობლემები, როგორებიცაა ხელმისაწვდომობა სოციალურ, სამედიცინო და სხვა პროგრამებზე, განსაკუთრებით რეგიონებში. განხილულია ასევე დისკრიმინაცია სოციალური, საგანმანათლებლო და დასაქმების კუთხით. პრობლემად რჩება არაადაპტირებული გარემო.

9.2. ევროსასამართლომ უკრაინის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შეტანილ სახელმწიფოთაშორის საქმეში დროებითი ღონისძიების გამოყენება დააკმაყოფილა

2014 წლის 13 მარტს უკრაინის ხელისუფლებამ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 33-ე მუხლის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სახელმწიფოთაშორისი განაცხადი შეიტანა. ამასთან, უკრაინის მთავრობამ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა დროებითი ღონისძიებების გამოყენება, მოწოდებით, რომ რუსეთის მთავრობამ, სხვა საკითხებთან ერთად, თავი უნდა შეიკავოს ზომებისაგან, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას უკრაინის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ უკრაინაში არსებული ვითარება წარმოშობს ევროპული კონვენციის სერიოზული დარღვევების განგრძობად საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროსასამართლომ სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის გამოყენების გადაწყვეტილება მიიღო. საჩივრის მიღების შემდეგ, სასამართლომ მხარეებს მოუწოდა, თავი შეიკავონ ნებისმიერი სამხედრო ქმედებისა და ნაბიჯებისგან, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებების დარღვევა, მათ შორის, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის ქვეშ დაყენება, და შეასრულონ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები, განსაკუთრებით კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მესამე მუხლებთან (წამების აკრძალვა) მიმართებაში.

ამასთან, სასამართლომ მხარეს მოსთხოვა, უმოკლეს დროში მიაწოდონ ინფორმაცია კონვენციის სრულად დაცვის უზრუნველყოფის მიზნით მიღებული ზომების შესახებ.

* სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, თუ საქმე სასწრაფო განხილვას მოითხოვს. ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, სასამართლო მოქმედებს დაუყოვნებლივ. ჩვეულებრივ კი, ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს განაცხადის შეტანიდან, საშუალოდ 4-5 წლის შემდგომ. სასამართლო რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია მხარეებს მოსთხოვოს ნებისმიერი დროებითი ღონისძიების გატარება, რაც აუცილებელია მხარეთა ან სასამართლო პროცესის სათანადო წარმართვის ინტერესებიდან გამომდინარე.

10. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

10.1. საკადრო ცვლილებები და სტაჟირება

მიმდინარე წლის მარტში სახალხო დამცველის აპარატში ხელშეკრულებით დაიწყო მუშაობა სამმა ახალმა თანამშრომელმა. ერთი თანამშრომელი პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტში; ერთი საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში და ერთი თანამშრომელი პროექტში - „სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადასაჭრელად.“

გასაუბრების შედეგად სტაჟირება დაიწყო 14 ახალგაზრდამ.

10.2. მოქალაქეთა მიღების დეპარტამენტის სტატისტიკა

2014 წლის მარტის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 537 განცხადება, რომელიც დასაშვებობის გავლის შემდგომ დეპარტამენტების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი — 107

მართლმსაჯულების დეპარტამენტი — 130

რეგიონალური სამმართველო — 108

ბავშვთა ცენტრი — 11

გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი — 14

შშმ პირთა ცენტრი — 5



11. კონტაქტი

თბილისი:

ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:

მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

ქუთაისი:

რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

ზუგდიდი:

კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

გორი:

სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

ახალქალაქი:

ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ; 577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

მარნეული:

რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ ხიდაშელი,
თეა ბაციკაძე